პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ. 6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ცვლილება შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ N49 განკარგულებაში და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „მუხლი 1.
   „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) ქუჩას, მასთან არსებულ 2 შესახვევს და 1 ჩიხს მიენიჭოს ანა კალანდაძის სახელი თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად“.
2. ცვლილება შევიდეს განკარგულების თანდართულ ორთოფოტოში და შეიცვალოს ახალი ორთოფოტოს თანდართული რედაქციით.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.